ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ათათურქის აეროპორტში ტერაქტი ჩეჩენმა ოსმან ვადინოვმა მოაწყო?

გვ.12

30 ივნისიდან

ვიქტორ ჰიუგო

კაცი, რომელიც იცინის

ნაწილი მეორე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

პარასკევი, 1 ივლისი, 2016 №154 (7080) ფასი: 50 თეთრი

„ქართული ოცნების“ რეიტინგი 20%-ს არ აღემატება“

გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „მეჭიაური, ბურჯანაძე და ინაშვილი ერთად თუ დადგებიან, ნაციონალებს ჩახდიან“

გვ.2

რატომ მოხსნა დავით ნარმანიამ გუგული მაღრაძის სიძე?

გიორგი კვირიკაშვილი ამაზრზენ ფაქტზე საუბრობს

ვინ მიითვისა ყურძნის სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხები?

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა დაკარგული ხმების დაბრუნებაა“

გვ.2

გვ.2

ზურაბ ტყემალაძე: „გადაწყვეტილება წვევამდელების გაწვევის გაუქმებაზე პოპულისტურია“

ფინანსთა მინისტრის მოადგილე: „ჩვენ და ეროვნული ბანკი ვმუშაობთ, რომ ლარის უეცარი რყევები არ მოხდეს“

გვ.4

გვ.2

ირაკლი კობახიძე: „ჩვენ შევძლებთ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას“

აკაკი ასათიანი: „ევროკავშირში ჩვენი შესვლის შანსები გაიზარდა“

გვ.4

ISSN 1987-9385

„ევროპა გერმანიას დარჩა“

მაგდა პაპიძის დაკითხვა დაიხურა



გვ.3

გვ.4

ჩრდილოეთ კავკასია ისლამური სახელმწიფოს წინაალმდეგ

შსს-მ ვისბადენის ინტერპოლის მიერ ძებნილი დააკავა

გვ.3

რატომ მოხსნა დავით ნარმანიამ გუგული მაღრაძის სიძე?

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, გუგული მაღრაძის სიძე უმუშევარი დარჩა. თბილისის საკრებულოს დეპუტატ ირაკლი აბესაძის თქმით, ირაკლი ღურჭუმელიას დავით ნარმანიამ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დაატოვებინა.

როგორც აბესაძემ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ღურჭუმელია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ფინანსური დირექტორი იყო. მისი გათავისუფლების მიზეზად დეპუტატი სამსახურში განხორციელებულ კორუფციულ გარიგებებს ასახელებს.

ირაკლი აბესაძის თქმით, შიდა აუდიტის სამსახურმა ცოტა ხნის წინ მოამზადა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სატრანსპორტო კომპანიაში რამდენიმე მიმართულებით ფინანსური გადახარჯვები გამოვლინდა და, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც გამოიკვეთა.

აღნიშნული დასკვნა ეხება 2014-2015 წლებს, სწორედ იმ დროს, როდესაც კომპანიის ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა ირაკლი ღურჭუმელია.

– დასკვნაში ასევე წერია, რომ საშტატო ნუსხის მიღმა ხდებოდა თანამშრომლების დასაქმება და მათთვის ხელფასების გადახდა, – აღნიშნა აბესაძემ.

დეპუტატის თქმით, დოკუმენტის თანახმად, ადგილი ჰქონდა სამივლინებო თანხის გადახარჯვას და სატრანსპორტო კომპანიამ ბიუჯეტიდან დახარჯა 60 ათასი ლარი მხოლოდ სარესტორნო მომსახურებაზე.

– კომპანიის წლიური ბრუნვა არის დაახლოებით 130 მილიონი ლარი და ფინანსურ დირექტორად ამხელა კომპანიაში დანიშნული იყო საქართველოს პარლამენტის წევრ გუგული მაღრაძის სიძე, რომელიც 29 ივნისს თბილისის მთავრობის მიერ, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა თანამდებობიდან.

კომპანიის დირექტორატმა გამონახა შესაძლებლობა, რომ დაეხარჯა სარესტორნო მომსახურებაში 60 ათასი ლარი, ისე, რომ ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი, საშტატო ნუსხის მიღმა აეყვანათ თანამშრომლები და 10 ათასობით ლარი დაეხარჯათ მათ ხელფასებსა და პრემიებზე, – აღნიშნა ირაკლი აბესაძემ.

ირაკლი აბესაძის სიტყვებს განცხადებით გამოეხმაურა თბილისის სატრანსპორტო კომპანია.

კომპანიის მტკიცებით, საკრებულოს დეპუტატის მიერ 30 ივნისს წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის საბოლოო დასკვნა.

– აბესაძის მიერ 30 ივნისს წარმოდგენილი დოკუმენტი, კერძოდ, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დასკვნის პროექტი არის შუალედური დოკუმენტი და არ წარმოადგენს საბოლოო დასკვნას, – ნათქვამია განცხადებაში.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ მერიის შიდა აუდიტის საქალაქო სამსახურს საპასუხოდ განმარტებითი დოკუმენტაციით უკვე მიმართა, შესაბამისად, კომპანია ელოდება შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის საბოლოო დასკვნას.

– ირაკლი ღურჭუმელიამ განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე პირადი განცხადების საფუძველზე დაწერა და მისი გადაწყვეტილება არ უკავშირდება მერიის შიდა აუდიტის შუალედურ დასკვნას, – აღნიშნულია განცხადებაში.

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა დაკარგული ხმების დაბრუნებაა“

„ნაციონალური მოძრაობა ახალ ამომრჩეველს ვერ მიიმხრობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ ერთმანეთისგან განსხვავებულ შედეგებს აქვეყნებენ.

– ორივე კვლევა, რომლის შედეგებიც სულ ახლახან გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი, დაინტერესებული მხარეების მიერ არის ჩატარებული. ბუნებრივია, კითხვის ნიშნები ჩნდება. მე შემიძლია გითხრათ, რომ ზოგადად ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი 10%-ის ფარგლებში იყო. ვერ ვიხსენებ, რა ისეთი ნაბიჯი გადადგა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ მისი რეიტინგი მომატებულიყო.

„ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს მაჩვენებლები პირდაპირ ნაციონალურ მოძრაობას ემატება.

– რასაც „ოცნება“ კარგავს, ის ნაციონალებთან არ მიდის?

– რა თქმა უნდა, არა. აქ უფრო დანარჩენი პარტიების ქმედებაა საინტერესო, რადგან სწორედ დანარჩენ ოპოზიციას აქვს შანსი, რომ „ოცნების“ დაკარგული ამომრჩეველი მიიმხროს.

– ყველა კვლევით ჩანს, რომ ორი პოლიტიკური ძალა, ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“, არის პოლიტიკურ ავანსცენაზე. შეიძლება ეს იყოს ორპარტიული სისტემის წინაპირობა?

– არა მგონია. ამ კვლევებში ჩანს მხოლოდ ის, რომ არის ორი პოლიტიკური ძალა, რომლებსაც 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა არ აქვთ. ეს ორი პოლიტიკური ძალა იბრძოლებს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს.

ამომრჩეველი ჯერჯერობით ჩამოყალიბებული ნამდვილად არ არის. გარკვეული, მცირე ნაწილია მხოლოდ ჩამოყალიბებული, ასევე არის ნაწილი, რომელიც ერთგულად აძლევს რომელიღაც პარტიას ხმას. მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორ წარიმართება წინასაარჩევნო კამპანია. თუმცა, ნაციონალური მოძრაობა როგორ წარმართავს საარჩევნო კამპანიას, ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. მას ჰყავს ერთგული ამომრჩეველი და ეს არის სწორედ ის 10%, რომელზეც მოგახსენეთ.

– ახალ ამომრჩეველს ვერ მიიმხრობენ?

– ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომელიც ნაციონალებთან მიიყვანს ახალ ამომრჩეველს. რადიკალური კურსის ცვლილებას ის ვერ შეძლებს. დაანონსებული განახლებაც მაინცდამაინც არ გამოუვიდათ.

– „ქართული ოცნება“ რამდენად შეძლებს დაკარგული ხმების დაბრუნებას?

– „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა დღეს სწორედ ეს არის, თუმცა, თუ წინასაარჩევნო კამპანიას სწორად წარმართავს, ამას შეძლებს. აქ მისი მთავარი კონკურენტი ნაციონალური მოძრაობა არ არის. ამ შემთხვევაში „ოცნების“ მთავარი კონკურენტი დანარჩენი ოპოზიციაა. როგორ საარჩევნო კამპანიას წარმართავენ ისინი, როგორი კამპანია ექნება „ოცნებას“, როგორ განვითარდება დარჩენილ დროში მოვლენები, ამ ყველაფერზე იქნება ეს დამოკიდებული.

– პრემიერმა განაცხადა, რომ 100 მანდატს აიღებენ, ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ აბსოლუტური უმრავლესობით მოვლენ. ეს არის პარტიის ლიდერის განაცხადი თუ მართლაც ეყრდნობიან გარკვეულ მონაცემებს?

– მე არ მგონია, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა. ჩემი აზრით, 76-77 მანდატს მიიღებს, რაც კარგი შედეგი იქნება ხელისუფლებისთვის და ის შეძლებს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას.

– წინასაარჩევნოდ რამე სიურპრიზს უნდა ველოდოთ?

– ძალიან რადიკალური არა მგონია, რამე მოხდეს. თუმცა, არჩევნები მაინც არჩევნებია და პატარ-პატარა სიურპრიზები იქნება. რასაკვირველია, არა ისეთი, როგორიც 2012 წლის არჩევნებზე, მაგალითად, ე.წ. ცოცხების კადრები იყო. მე რამდენადაც ვიცი, მზადდება ფილმი 9-წლიან მმართველობაზე, გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ მთავარი ხაზი ასეთი იქნება – თუ თვითონ ხელისუფლებაში ვერ მოვა, მაშინ ნაციონალები დაბრუნდებიან.

ირაკლი კობახიძე: „ჩვენ შევძლებთ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას“

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე პარტიის მიერ ჩატარებულ შიდა კვლევებს ეხმაურება. როგორც ის განმარტავს, პარტია დიდი ხანია ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს და მათ მიმართ ნდობაც დიდია.

– ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი სპეკულაცია იყო, პრაქტიკულად, ამაზე მოთხოვნა იყო. ამიტომ, გადავწყვიტეთ, გამოგვექვეყნებინა ჩვენი შიდა კვლევის შედეგები. ჩვენ სრულად ვენდობით ამ ორგანიზაციას, რომელიც ჩვენთვის ატარებს კვლევას. წლების განმავლობაში ვთანამშრომლობთ მათთან და იმ პირობებში, როდესაც არცერთი ცნობილი სოციოლოგიური ორგანიზაცია არ დებდა სანდო კვლევებს, ჩვენ ყოველთვის გვაძლევდა ჩვენი ორგანიზაცია არჩევნების შედეგის პროგნოზირების საშუალებას.

რაც შეეხება შედეგებს, ეს არის რეალური შედეგი და სრულად ასახავს სინამდვილეს. ჩვენ გვაქვს იმაზე მეტი მხარდაჭერა, ვიდრე ყველა პარტიას, ერთად აღებულს. სწორედ ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენ შევძლებთ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას, – განაცხადა კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ დაკვეთით ჩატარებული შიდა კვლევების შედეგების მიხედვით, ნაციონალური მოძრაობას გამოკითხულთა დაახლოებით 13% უჭერს მხარს, ხოლო „ქართული ოცნებას“ – დაახლოებით 35%. დავით ბაქრაძისა და გიორგი კვირიკაშვილის რეიტინგებს შორისაც ორმაგი სხვაობაა. 42% არის კვირიკაშვილის, 21% დაახლოებით არის ბაქრაძის.

ნიუსპრესი

ზურაბ ტყემალაძე: „გადაწყვეტილება წვევამდელების გაწვევის გაუქმებაზე პოპულისტურია“

„მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის გადაწყვეტილება, რომელიც წვევამდელების გაწვევის გაუქმებას უკავშირდება, პოპულისტურია.

მისივე თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება საარჩევნო კამპანიას უკავშირდება.

– ესეც პოპულისტურია და წინასაარჩევნო კამპანიას ემსახურება. ეს იყო სუფთა წყლის პოპულისტური გადაწყვეტილება იმისთვის, რომ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ ვიღაცის გული მოიგოს. ასეთი საკითხის გადაწყვეტის ერთპიროვნული უფლება მინისტრს, არც მორალური და არც იურიდიული, არ გააჩნია. ეს საკითხი უნდა განხილულიყო უშიშროების საბჭოზე, მთავრობაში. სხვათა შორის, მიკვირს, რატომ არ აუქმებს მთავრობა ამ ბრძანებას და რატომ ელოდება სხვა მინისტრის მოსვლას იმისათვის, რომ ეს ბრძანება გაუქმდეს. ზემდგომ ორგანოს თავისუფლად შეუძლია ამ ბრძანების გაუქმება. არაერთი განცხადება გაკეთდა პრეზიდენტის, უშიშროების საბჭოსა და მთავრობის წევრების მხრიდან და მეტი რაღა უარყოფითად უნდა შეფასდეს ეს გადაწყვეტილება?! – განაცხადა ტყემალაძემ.

2017 წლიდან თავდაცვის სამინისტრო სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევას აღარ განახორციელებს. შესაბამის ბრძანებას თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ხელი უკვე მოაწერა. როგორც მან განმარტა, შეიარაღებულ ძალებს ძალით მოყვანილი სამხედროები არ სჭირდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნების“ რეიტინგი 20%-ს არ აღემატება“

ლადო სადღობელაშვილი: „მეჭიაური, ბურჯანაძე და ინაშვილი ერთად თუ დადგებიან, ნაციონალებს ჩახდიან“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ემთხვევა ერთმანეთს ნაციონალებისა და „ოცნების“ კვლევების შედეგები, რას ამბობდნენ გასული წლის ბოლოს სახელისუფლებო გუნდში, ვინ აუკრძალა ივანიშვილს ყოფილი ხელისუფლების გასამართლება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– ნაციონალებისა და „ქართული ოცნების“ თანამშრომლობაზე უამრავი ეჭვი არსებობდა. ბოლო დღეებში მათ მიერ გამოქვეყნებული კვლევებითაც დადგინდა, რომ ეს 2 ძალა ერთმანეთს კარგად შეერწყა. გავიხსენოთ, რისთვის მოვიდა „ოცნება“ ხელისუფლებაში. ისინი მოსახლეობას დაჰპირდნენ, რომ დამნაშავე რეჟიმს გაასამართლებდნენ. მერე „ოცნების“ „ვერხუშკას“ დასავლელმა პარტნიორებმა დაავალეს კოაბიტაცია და მათაც შეასრულეს მოთხოვნა.

ის, ვინც პარტნიორების მოთხოვნას არ დაემორჩილა, ირაკლი ღარიბაშვილი იყო. მისი პრემიერობის დროს მართლაც დაიწყო ნაციონალების „გატისკვა“. მას შემდეგ, რაც მთავრობის მეთაურის პოსტი კვირიკაშვილმა დაიკავა, ხელისუფლებამ ნაციონალებთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა.

„ქართული ოცნების“ კვლევები ზურაბ ბიგვავამ გაასაჯაროვა. ამ ადამიანმა სახელი სოციოლოგიური კვლევებითა და „ოცნების“ რეიტინგების გაზომვით გაითქვა. ამ ადამიანის მიერ ჩატარებული ბოლო კვლევა კითხვის ნიშნებს ბადებს.

– რა კითხვის ნიშნებს, ნაციონალების კვლევების მსგავსი შედეგი რომ დაიდო?

– ეგ თავისთავად საეჭვო და საინტერესო ფაქტია, მაგრამ მე სხვა რამეზე გავამახვილებ ყურადღებას. დაახლოებით ერთი თვის წინ გამოვიდა ივანიშვილი და თქვა, ახალ პარლამენტში, სულ მცირე, 95 დეპუტატს შევიყვანთო. რამდენიმე დღის წინ კვირიკაშვილმა თქვა, შემოდგომაზე 100-ზე მეტ მანდატს მოვიპოვებთ პარლამენტშიო. ამ დროს გამოდის ბიგვავა და ამბობს, რომ „ოცნების“ რეიტინგი არის 35%. 35% თუ აქვთ რეიტინგი, პარტიული სიით პარლამენტში მხოლოდ 25-30 ადამიანს გაიყვანენ.

„ქართულ ოცნებას“ თუ ორიენტირი 90-დან 100-მდე მანდატზე აქვს აღებული, რა გამოდის, რომ 75-ვე მაჟორიტარული ოლქი მაგათი უნდა იყოს? ამით რისი თქმა უნდათ? ბიგვავა ცდება თუ ივანიშვილი და კვირიკაშვილი? ან იქნებ რაღაც შიდა ბუნტს აქვს „ოცნებაში“ ადგილი? ან იქნება „ქართული ოცნება“ აპირებს, რომ ყველა მაჟორიტარული ოლქი თავად მიიწეროს? ამის გარეშე 100 დეპუტატს პარლამენტში ვერ გაიყვანენ. ყველა მაჟორიტარული ოლქის მოგება ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება, ეს შეუძლებელია.

სანამ „ოცნებასთან“ ურთიერთობა დამეძაბებოდა, ბიგვავას გარემოცვასთან ძალიან მჭიდრო კავშირი მქონდა. ისინი გასული წლის დეკემბერშიც ატარებდნენ კვლევებს. კარგად მახსოვს, როგორ წუხდნენ იმის გამო, რომ „ოცნების“ რეიტინგი 20%-ზე ქვევით იყო.

– ამიტომ არ გჯერათ, რომ „ოცნების“ რეიტინგი 35%-ია?

– რანაირად უნდა დავიჯერო, როცა 6 თვის წინ მათი რეიტინგი 17%-ს არ აღემატებოდა. 6 თვეში მათი რეიტინგი ვერაფრით გაორმაგდებოდა. ასეთი სავალალო რეიტინგი რომ ჰქონდა, ამიტომ გააგდეს რესპუბლიკური პარტია კოალიციიდან და პრემიერიც გამოცვალეს. სახელისუფლებო ძალას არაფერმა უშველა და ამიტომაც გადაწყვიტეს პოლიტიკაში ივანიშვილის შემოყვანა.

– ბევრი მიიჩნევს, რომ სწორედ ეს იქონიებს გავლენას „ოცნების“ რეიტინგის მატებაზე.

– სახელისუფლებო გუნდი ახლა ისეთ დღეშია, რომ ივანიშვილი ვეღარ უშველის. მართალია, თავად თვლის, რომ ჭარბი ნდობა აქვს, მაგრამ ასე აღარ არის საქმე. ის რამდენჯერმე გამოვიდა ტელევიზიით, გამართა პრესკონფერენციები, აქო, აქო თავისი გუნდი, მაგრამ არანაირი შედეგი არ არის. ან საიდან უნდა ყოფილიყო შედეგი, როცა ხელისუფლებამ არცერთი დაპირება არ შეასრულა. მოსახლეობის უმთავრესი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო. იმის მაგივრად, რომ დამნაშავეები გაესამართლებინათ, მათთან კოაბიტირება მოახდინეს.

ესეც არ იკმარეს და ახლა, ნაციონალებთან ერთად, ხალხის დარწმუნებას ცდილობენ, რომ ყოფილი ხელისუფლება მთავარი ოპოზიციური ძალაა. ეს შედეგები ერთსაც აწყობს და მეორესაც. ნაციონალების შენარჩუნება რომ არ სდომებოდა ივანიშვილს, ის ეროვნული ძალების გაერთიანებას მოახდენდა, რომლებიც ნამდვილად ჩამოაცილებდნენ ნაციონალებს პოლიტიკას.

– რომელი ძალების გაერთიანებაზე საუბრობთ?

– პატრიოტთა ალიანსის, მეჭიაურის, ბურჯანაძისა და მრეწველების გაერთიანებაზე.

– ივანიშვილს როგორ უნდა მოეხდინა მათი გაერთიანება?

– ეს ძნელი გასაკეთებელი არ იყო. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ დასავლელი „პარტნიორების“ მოთხოვნას ასრულებს. მათთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რას იტყვის დასავლეთი, ვიდრე ის, თუ რას ფიქრობს ქართველი ხალხი. ივანიშვილს მესამე ძალის შექმნისთვის ხელი რომ შეეწყო, დასავლეთი ვერაფერს მოითხოვდა ხელისუფლებისგან. ივანიშვილი მათ ეტყოდა, ჩვენ რა შუაში ვართ, ნაციონალები მესამე ძალამ ჩააჩოჩაო.

– დარწმუნებული ხართ, რომ მესამე ძალა ნაციონალებს ჩააჩოჩებდა?

– მეჭიაური, ბურჯანაძე და ინაშვილი ერთად თუ დადგებიან, დარწმუნებული ვარ, ნაციონალებს ჩახდიან. კარგი იქნება, მათთან ერთად თუ მრეწველებიც დადგებიან. იმის მაგივრად, რომ ამ ძალების ერთად დადგომას შეუწყონ ხელი, მათი გამარგინალება დაიწყეს და ამით ნაციონალების წისქვილზე დაასხეს წყალი.

ბოლო პერიოდში ის ძალები, რომლებიც ეროვნულად აზროვნებენ, რატომღაც პრორუსულ ძალებად მოიაზრებიან, რაც ასე ნამდვილად არ არის. არც ალიანსი, არც ბურჯანაძე და არც მეჭიაური პრორუსული ძალები არ არიან. რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე საუბარი პრორუსულობას არ ნიშნავს. რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე ხელისუფლებაში მოსვლამდე ივანიშვილიც საუბრობდა. იმისთვის, რომ დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ, მოსკოვთან მოლაპარაკება აუცილებელია.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის მიმართ აქვს ნოსტალგია, პრორუსულ ძალად არც თოფაძის პარტიას მივიჩნევ. ეს პარტია ჩემ მიერ ჩამოთვლილ სხვა პარტიებთან ერთად ამბობს, რომ ნატოში არავინ მიგვიღებს და ამის გამო რუსეთი არ უნდა გადავიმტეროთ. პოლიტიკოსი პირდაპირ რომ ამბობს სათქმელს, ეს დასაფასებელი თვისებაა. აბა, ხიდაშელივით ხომ არ უნდა მოიქცნენ, ქალი სხვადასხვა მიზეზს იგონებს იმისთვის, რომ თავისი წარუმატებლობა „გააპრავოს“.

– რა წარუმატებლობა?

– ამტკიცებდნენ, ნატოს წევრები გავხდებითო. ახლა, როცა სამიტი მოახლოვდა და იციან, უარს გვეტყვიან, სხვადასხვა მიზეზს იგონებენ.

– მოდით, ისევ მესამე ძალას დავუბრუნდეთ. ზოგიერთი პაატა ბურჭულაძეს მოიაზრებს მესამე ძალად. შეძლებს ის ნაციონალების ჩაჩოჩებას?

– რა მესამე ძალა? პაატა ბურჭულაძეს რომ ჰკითხო, ეგ არის პირველი ძალა. ამას ამბობს ლეიბორისტების ლიდერიც. პაატა ბურჭულაძეც, გირჩიც და სტაფილოც ნაციონალების სატელიტები არიან.

– სტაფილო რომელია?

– გიორგი ვაშაძის პარტიას დავარქვი ასე, სტაფილოსფერი პარტიაა. საქართველოში მესამე ძალა რეალურად მაშინ შეიქმნება, თუ ეროვნული პარტიები გაერთიანებას მოახერხებენ.

– იქნებ არ სურთ ამ ძალებს გაერთიანება?

– რაღაც მიზეზები შესაძლოა ჰქონდეთ, მაგრამ, როცა ქვეყანას სჭირდება, ამბიციები ცოტა გვერდზე უნდა გადადონ და გაერთიანება შეძლონ. ყველა იმ პარტიას, რომელსაც მე ეროვნულად მივიჩნევ, თავისი მხარდამჭერები ჰყავს. გაერთიანების შემთხვევაში ისინი არჩევნებზე მეორე ადგილს დაიკავებენ. ნაციონალებსაც პოლიტიკურ მოუსავლეთში გაუშვებენ და „ქართულ ოცნებასაც“ აიძულებენ, იმ რელსებზე დადგნენ, რაზეც ხელისუფლებაში მოსვლამდე იდგნენ.

მაგდა პაპიძის დაკითხვა დაიხურა

ბრალდებულ მაგდა პაპიძის დაკითხვა საქალაქო სასამართლოში დაიხურა. მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძის დაკითხვის დახურვის შუამდგომლობა მოსამართლე ეკატერინე გაბრიჩიძის წინაშე ბრალდების მხარემ დააყენა.

პროკურორებმა შუამდგომლობის დაყენებამდე განცხადება გააკეთეს და ბრალდებულს ჰკითხეს, სურდა თუ არა პროცესის დახურვა, რადგან მათი მხრიდან დაისმებოდა ისეთი კითხვები, რომლებიც პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას და ასევე იმ მტკიცებულებებს შეეხებოდა, რომლებიც მხარეებმა დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოიკვლიეს.

ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას სურს პროცესის დახურვა, ვინაიდან არ სურს, რაიმე კითხვა პასუხგაუცემელი დარჩეს. აქედან გამომდინარე, პროკურორებმა მოსამართლის წინაშე იშუამდგომლეს, რომ სასამართლო პროცესი მაგდა პაპიძის დაკითხვის ნაწილში დახურულიყო.

მოსამართლემ ბრალდების შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

ინტერპრესნიუსი

შსს-მ ვისბადენის ინტერპოლის მიერ ძებნილი დააკავა

თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის სამმართველოს (თბილისის აეროპორტი) თანამშრომლებმა თბილისიდან მოსკოვის მიმართულებით გასვლისას ვისბადენის ინტერპოლის მიერ 18.05.2011 წლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1986 წელს დაბადებული ტატიანა პ. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროდან აცნობეს, ტატიანა პ.-ს ბრალად ედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას გულისხმობს.

უწყების ინფორმაციით, ამ დროისთვის ტატიანა პ.-ს მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი

ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებულთა სასამართლო პროცესი დაიხურა

ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებულთა სასამართლო პროცესი დაიხურა. მოსამართლემ პროცესის დახურვის გადაწყვეტილება ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობაზე მსჯელობის დაწყებამდე მიიღო.

როგორც მოსამართლემ განმარტა, საქმე კონკრეტული ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციასა და პერსონალურ მონაცემებს ეხება, შესაბამისად, არსებობს იმის ალბათობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ღია სხდომაზე გაჟღერდეს. ანალოგიური არგუმენტი ჰქონდა პროკურორს, რომელიც პროცესის დახურვის მომხრე იყო. ბრალდებულთაგან კი პროცესის დახურვის მომხრე მხოლოდ ორი იყო. 3 ბრალდებულის ინტერესების დამცველებმა კი აღნიშნეს, რომ პროცესი ღია უნდა იყოს, ვინაიდან სასამართლო დღეს ბრალდებულთათვის შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობაზე მსჯელობს და, შესაბამისად, დღევანდელ პროცესზე მხარეები არავითარ პირადი ცხოვრების შემცველ ინფორმაციასა და პერსონალურ მონაცემებს არ გამოიკვლევენ.

დაცვის მხარის ამ პოზიციის მიუხედავად, მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ წინასასამართლო სხდომის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი ზურაბ ჯამალაშვილი, ადვოკატი ირაკლი ფხალაძე, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, ინგა ჩატოიანი და გელა ღურწკაია არიან ბრალდებულები.

საქმე 2016 წლის მარტიდან ინტერნეტში გავრცელებულ პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებს ეხება.

ინტერპრესნიუსი

ვინ მიითვისა ყურძნის სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხები?

გიორგი კვირიკაშვილი ამაზრზენ ფაქტზე საუბრობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, საგარეჯოს რაიონში კონკრეტულმა ბიზნესმენმა ფერმერების თანხა მიითვისა და შარშან ჩაბარებული ყურძნის ფული მევენახეებს არ გადაუხადა.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისი შეფასებით, ამაზრზენი ფაქტია, როდესაც კონკრეტული ადამიანები მევენახეების იმ თანხას ითვისებენ, რომელზეც რეალურად მთელი წელი არიან დამოკიდებული გლეხები.

კვირიკაშვილის თქმით, სახელმწიფო საკმაოდ დეფიციტური რესურსის გამონახვას ახერხებს, რომ დაასუბსიდიროს ყურძნის ჩაბარება და ამით ბოროტად არავინ უნდა ისარგებლოს.

– ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ მანავში, საგარეჯოს რაიონში შარშანდელი ჩანაბარები ყურძნის თანხა მიითვისა რომელიღაც ბიზნესმენმა. ყოველ შემთხვევაში, არ არის მისული ადრესატამდე, როგორც ჩემთვის ცნობილია. მინდოდა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრისთვის მეთხოვა, ეს საკითხი მაქსიმალურად მოიკვლიოთ, – განაცხადა პრემიერმა.

მან დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სოფლის მეურნეობის მინისტრს სთხოვა. როგორც ოთარ დანელიამ განაცხადა, საუბარია 50-ზე მეტ მევენახეზე რამდენიმე სოფლიდან. საერთო ჯამში კი – 200 ათას ლარზე მეტი ღირებულების ყურძენზე.

– იყო გამოძიება. არ გააჩნია ის აქტივები ამ კომპანიას, რომელიც დააკმაყოფილებს ამ დაზარალებულ ადამიანებს. თქვენს დავალებას მივიღებთ და შევეცდებით, მინიმალური ზარალი მივიღოთ. ძალიან სამწუხარო ფაქტია, – განაცხადა დანელიამ.

– სამწუხარო – არა, ამაზრზენი ფაქტია. ეს არის პირდაპირ იმ ადამიანების ფულის მითვისება, ვინც, ფაქტობრივად, ამაზეა დამოკიდებული მთელი წელი. ამიტომ მაქსიმალურად შევეცადოთ, რომ მოკლე დროში მოხდეს ამ საკითხის გარკვევა, – დასძინა პრემიერმა.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ-გე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

აკაკი ასათიანი: „ევროკავშირში ჩვენი შესვლის შანსები გაიზარდა“

„ევროპა გერმანიას დარჩა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ტრადიციონალისტი **აკაკი ასათიანი** აფასებს.

– წინასაარჩევნო პერიოდია, პოლიტიკურად სიტუაცია მწვავეა. ქვეყნდება პოლიტიკური პარტიების რეიტინგებიც, რომლებიც მაინცდამაინც დიდ ნდობას ვერ იმსახურებს. როგორია თქვენი შეფასებები, როგორ მუშაობს ხელისუფლება?

– ხელისუფლების სტრატეგია უცვლელია და ისევ იმეორებს ძველ ფირფიტას, ნაციონალების მოსვლა თუ არ გინდათ. ჩვენ მოგვეცით ხმაო. მე კი მგონია, რომ ნაციონალების დაბრუნების თემა აქტუალური აღარ არის. რაც შეეხება რეიტინგებს, ქვეყნდება ის, ვის რა სურს. ჩვენ უნდა ამოვიცნოთ, ვისი ინტერესი დევს ამ კვლევაში. თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იქნება პარტიების მუშაობაზე, ვინ როგორ წარმოაჩენს თავს ამომრჩევლის წინაშე.

– ახალი მოთამაშეებიც შემოვიდნენ პოლიტიკურ ბაზარზე, იმავე პაატა ბურჭულაძის სახით. რამდენად გაუწევენ კონკურენციას არსებულ ძალებს?

– პაატა ბურჭულაძე მნიშვნელოვანი მოთამაშეა. საინტერესოა, გამოცდილება რამდენად ეყოფათ, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური გაერთიანების მოქმედებას დაამსგავსონ.

– არჩევანი ისევ ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის უნდა გაკეთდეს?

– მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ეს არჩევანი აღარ იყოს და შემდეგი ოთხი წელიც მათ კინკლაობას არ ვუყუროთ.

– არის იმის შანსი, რომ პარლამენტი მრავალპარტიული იყოს?

– ამის შანსი საკმაოდ დიდია, ოღონდ ეს სხვა პარტიების მუშაობაზეა დამოკიდებული.

– დღეს აქტუალურად განიხილება ევროკავშირის საკითხი. მას შემდეგ, რაც ინგლისი გავიდა, ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. რა ხდება ევროკავშირში?

– ევროკავშირი არ დაიშლება! არც ინგლისი დაიღუპება, არც შოტლანდია და არც ევროკავშირი! იმედია, მიხვდებიან, რომ სერიოზული ძირეული ცვლილებებია საჭირო. ისეთი სახეები აქვთ ევროპის ლიდერებს, რომ მათი ყურება არ მინდა. დაბნეულობას აშკარად ვერ მალავენ. მსახიობობის ნიჭიც კი არ ჰყოფნით.

ის არის აშკარა, რომ თურმე ეს ხალხი მზად არ იყო მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის. რას ბოდავენ, კაცმა არ იცის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ლიდერშიფის სერიოზულ კრიზისს ევროპაში. ლიდერების კრიზისია სერიოზული. საბჭოთა კავშირი რომ იშლებოდა, მაშინ ევროპის ლიდერებმა მოახდინეს ადეკვატური რეაგირება.

– ზოგიერთმა ევროკავშირი საბჭოთა კავშირს შეადარა.

– არა, არანაირი პარალელი არ არის. ისე, ყველანაირ გაერთიანებას შორის შეიძლება პარალელის გავლება, თუმცა ეს არასწორია. ეს კონფლიქტივით არის, ყველა ერთმანეთს ჰგავს, თუმცა სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან.

– დღეს როგორია ჩვენი შანსები, მოვხვდებით ევროკავშირში?

– პარადოქსულ აზრს ვიტყვი. მე მგონია, რომ ჩვენი შანსები ამ ეტაპზე საკმაოდ გაიზარდა. თუ ჭკუაზე მოვლენ ევროკავშირის ლიდერები, მათ უნდა გაამარტივონ სტრუქტურები და მსურველების ხარჯზე უნდა გაზარდონ წევრთა რაოდენობა. ოღონდ უნდა გაამარტივონ ის არანორმალური და უპასუხისმგებლო ბიუროკრატია, რომელშიც მთელი ეს შეტანილი საწევრო იხარჯება.

– ამით რის თქმა გინდათ?

– იმის, რომ ხომ ყველამ კარგად ვიცით, ბოლოს მაინც 2-3 ქვეყნის ლიდერები გადაწყვეტენ ყველაფერს. როგორც ჩერჩილი ამბობდა, დემოკრატია არის მმართველობის ყველაზე უარესი ფორმა, უბრალოდ, უკეთესი არავის მოუფიქრებია ჯერ-ჯერობითო. დღეს კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ამაში.

– დღეს ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი საკითხი ვიზალიბერალიზაციის მიღებაა. მივიღებთ?

– აუცილებლად. ეს ხელისუფლებაც ნაციონალებს ბაძავს ყველაფერში, აი, ხვალ იქნება, ზეგ იქნება, ივლისში იქნება, ოქტომბერში. კარგით, რა, დაიღალა ხალხი. ეს ამბავი აუცილებლად იქნება და ამაზე ამხელა აჟიოტაჟი, კრუნჩხვები და ისტერიკა არ არის საჭირო.

ნაცებმა ამ ხალხს ხომ საერთოდ შეაჯავრეს ევროპა. დღეს რომ ყვირიან, ეს რუსული პროპაგანდის შედეგიაო, რუსული პროპაგანდის კი არა, იმ 9-წლიანი დეგენერატული მმართველობის შედეგია, თორემ, როგორც კი ასოცირება მოხდა და ვიზალიბერალიზაციაზე დაიწყო ლაპარაკი, ხალხშიც მკვეთრად შეიცვალა განწყობები დასავლეთის სასარგებლოდ. დაველოდოთ, როცა იქნება, იქნება!

ეს ევროკავშირიც თუ ნორმალურად გადალაგდა, ჩვენი შანსებიც უფრო ჩქარდება, ვიდრე ოდესმე. ადრე ეს შორეული პერსპექტივა იყო და დღეს ეს ყველაფერი რეალური გახდა.

– ინგლისის გასვლა ევროკავშირს არ დააზარალებს?

– ისედაც გასული არ იყო? ეს რატომ გაუკვირდა ვინმეს. შენგენის ზონაში არ იყო, ევრო არ ჰქონდა, მანქანა მარცხნივ დადიოდა, პირსაბანში ორივე ონკანიდან აგროვებენ წყალს. ეს დეტალია თითქოს, მაგრამ ისინი საკმაოდ თავისებური ხალხია. ყოველთვის ასეთი თავისებურები იყვნენ. ისინი ამპარტავანი ერია, ამის დამალვას ცდილობენ, კარგად გაზრდილი ხალხია, თუმცა მაინც ვერ მალავენ და ამის საფუძველი აქვთ კიდეც, გაცილებით მეტი, ვიდრე ვინმე სხვას. რამდენიმე ერის გარდა.

ინგლისი ტერიტორიით საქართველოზე ორჯერ დიდია, მეტი კი არა, მაგრამ მათ ძალიან მძლავრი ეკონომიკა აქვთ.

– მარტო არ გაუჭირდებათ?

– შიმშილით ნამდვილად არ დაიხოცებიან და ჩვენი სარჩენი არ იქნებიან. საბერძნეთის კრიზისი რომ დაიწყო, შემდეგ სირიის ამბები, უკვე ცხადი გახდა, რომ მათ განზე ეჭირათ თვალი. ამ ფონზე გერმანელები იქცევიან ძალიან კარგად. მათ ესმით, რომ ევროპა მათ რჩებათ. ევროპაც მთლიანად რჩება გერმანიის იმედად. როგორც ჩანს, გერმანელები ამაზე უარს არ იტყვიან.

– ბურთი და მოედანი დარჩა გერმანიას?

– ზუსტად რომ ასეა. გერმანია ლიდერი ქვეყანაა. დღეს ისე ლაგდება სიტუაცია, რომ გერმანიას ევროპაში აქვს ბურთი და მოედანი და ჩვენ – აქ. მთავარია, ეს შანსი სწორად გამოვიყენოთ. ხომ ხედავთ, თურქეთი რა დღეშია.

ჩრდილოეთ კავკასია ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ

რას ნიშნავს კოლექტიური პასუხისმგებლობა?

მარიამ მჭედლიშვილი

სტამბოლის აეროპორტში მომხდარმა მასშტაბურმა ტერაქტმა უფრო აქტუალური გახადა ახლო აღმოსავლეთში კავკასიელი ახალგაზრდების გადინებისა და მათი დანაშაულებრივ ისლამურ სახელმწიფოში გაწევრიანების საკითხი.

საქართველოს ხელისუფლება შეძლებისდაგვარად ატარებს ზომებს, რომ ახლო აღმოსავლეთში დაბანაკებული ჯიჰადისტების რიგებს საქართველოს ახალი მოქალაქეები არ შეუერთდნენ.

ამ კუთხით განსაკუთრებულ მეთოდებს მიმართავს ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი, რომლის თანამემამულეები ხალიფატში დიდი გავლენით სარგებლობენ და ჩეჩნეთისთვის საფრთხეს წარმოადგენენ.

რამზან კადიროვმა შემოიღო კოლექტიური პასუხისმგებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოეთში წასვლის მსურველი ახალგაზრდა საზღვარგარეთულ პასპორტს იღებს მხოლოდ მისი ახლობლებისგან გარანტიის გაცემის შემთხვევაში. წამსვლელის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მისი სირიაში მოხვედრის შემთხვევაში ისინი კისრულობენ პასუხისმგებლობას. გარანტიის გარეშე ჩეჩნეთს ვერავინ დატოვებს.

ჩეჩნეთში ტერორიზმთან და ჯიჰადთან ბრძოლის საბაბით სალაფიტურ მეჩეთებსაც შეუტიეს. ასეთი მეჩეთები, ფაქტობრივად, დახურულია.

გამკაცრდა რეჟიმი ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც. უფლებადამცველების აზრით, პოლიციის ზეწოლა და გადაჭარბებული კონტროლი უკუშედეგის მომტანია და ხელს უწყობს ახალგაზრდობის რადიკალიზაციას.

კავკასიელი ახალგაზრდების უმიზეზოდ აყვანა აღრიცხვაზე, მათი უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემა, ზემოქმედება მუსლიმთა უდანაშაულო სალაფიტურ თემზე, ასევე ძალოვნების დაუსჯელობა ქმნის პირობებს ადამიანების რადიკალიზაციისთვის. რადიკალები ან იატაკქვეშეთში გადადიან, ან ახლო აღმოსავლეთში ისლამურ სახელმწიფოს უერთდებიან.

დაღესტნელი უფლებადამცველის, მურად მაგომედოვის ინფორმაციით, რესპუბლიკაში ათეულობით ადამიანია აღრიცხვაზე აყვანილი იმის გამო, რომ პოლიციამ მათ ექსტრემიზმისა და ვაჰაბიზმის კატეგორია მიუყენა.

არადა, აღრიცხვაზე აყვანილებში ზოგი საერთოდ ათეისტია, ზოგი კი – სხვა რელიგიის მიმდევარი. ვაჰაბიზმთან მათ კავშირი არა აქვთ. აღრიცხულებს პოლიციაში იბარებენ, სურათებსა და სისხლის ანალიზს უღებენ, ფსიქოლოგიურ ტესტებს უტარებენ და ნათესავების მოყვანასაც სთხოვენ.

მაგომედოვი აღნიშნავს, რომ პოლიცია აღრიცხვაზე ასაყვანს ტანსაცმლითა და წვერით არჩევს. მასობრივი დაკავებები მოხდა სალაფიტურ მეჩეთებთან.

– აღრიცხვაზე აყვანა მიზნად ისახავს არა პროფილაქტიკას, არამედ წინაპირობების შექმნას ექსტრემისტული საქმიანობისთვის, – ამბობს უფლებადამცველი.

ზომების გამკაცრებას ცუდი შედეგები მოაქვს ყაბარდო-ბალყარეთშიც – ასე ფიქრობს იქაური უფლებადამცველი ვალერი ხატაჟუკოვი.

მისი თქმით, რესპუბლიკაში მოქმედმა ადაპტაციის კომისიამ და ექსტრემიზმის პროფილაქტიკის სამინისტრომ კარგად იმუშავეს, მაგრამ 2015 წელს დაწყებულმა ზეწოლამ მოქალაქეებზე ეს საქმიანობა წყალში ჩაყარა. პოლიცია სირიაში წასულებში მოიხსენიებს ყველას, ვინც უცხოეთში, მაგალითად, ევროპაში, იმყოფება.

ინგუშ მაგომედ მუგოლცევის ინფორმაციით, ახალგაზრდობის რადიკალიზაციას ხელს უწყობს პოლიციის თავაშვებულობაც. კერძოდ, პოლიციელები ან თავად არიან ჩარეული ადამიანების გატაცებებში, ან არ ადგენენ გამტაცებლების ვინაობას. პოლიციელებს პასუხს არავინ სთხოვს. ისინი, თავის მხრივ, უსამართლოდ ექცევიან მოქალაქეებს და ექსტრემიზმისა და ტერორიზმის ბრალდებებს ტყუილად უყენებენ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ეკონომიკა

ფინანსთა მინისტრის მოადგილე: „ჩვენ და ეროვნული ბანკი ვმუშაობთ, რომ ლარის უეცარი რყევები არ მოხდეს“

– ლარის გამყარებაც ხომ უეცარი და სწრაფი იყო? – ასე უპასუხა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი თაბუაშვილმა „კომერსანტის“ შეკითხვას იმის შესახებ, იყო თუ არა სწრაფი და უეცარი ბოლო დღეებში ლარის გაუფასურება, როდესაც 10 დღეში ეროვნული ვალუტა 20 პუნქტით გაუფასურდა.

ლარის კურსთან დაკავშირებით კომენტარი გიორგი თაბუაშვილმა მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

მისი თქმით, მთავრობის და ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა, რომ ლარის კურსის რყევები უეცარი არ იყოს და შენარჩუნებული იყოს სტაბილურობა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის განმარტებით, ლარი არ არის მიბმული რომელიმე ვალუტაზე, არ არის ფიქსირებული და მცურავი კურსით ხასიათდება, ამიტომ მისი რყევები სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული.

– ლარის გაცვლით კურსზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ძალიან ბევრმა ფაქტორმა. მეც რომ გესაუბრებით თქვენ, იმის მიხედვით, თუ რა განცხადებას და შეფასებას გავაკეთებ, შეიძლება ამანაც კი გარკვეულწილად გავლენა იქონიოს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

მისი აზრით, დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმმა გარკვეული გავლენა მოახდინა, საგარეო ვაჭრობის დინამიკამაც იმოქმედა.

– მოლოდინები მოქმედებს. არის როგორც გამყარებისკენ მოძრაობა, ასევე გაუფასურებისკენ. ეს ჩვეულებრივი მომენტია. მთავრობის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს რყევები არ იყოს უეცარი, დიდი და რაც შეიძლება შევინარჩუნოთ სტაბილურობა. თორემ გაცვლითი კურსი სადაც დაფიქსირდება, ის არის მოცემულობა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის ლარის მცურავი რეჟიმი, – განაცხადა გიორგი თაბუაშვილმა.

გუშინ ლარი მცირედით გამყარდა. 1 დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.3200 ლარი გახდა. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.3423 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0223 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთანაც გამყარდა. კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.5861 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინდელი კურსი 2.5976 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროს მიმართ 0.0115 ლარი შეადგინა.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.ge

მაისში ვადაგადაცილებული სესხები 6.1 მლნ ლარით გაიზარდა

მაისში ვადაგადაცილებული სესხები 6.1 მლნ ლარით გაიზარდა და 361.3 მლნ ლარს გაუტოლდა.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მაისის თვის მიმოხილვაშია ნათქვამი.

2016 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 280.1 მლნ ლარით შემცირდა და 14.83 მლრდ ლარს გაუტოლდა.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 2.34 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, სესხების წლიური ზრდა 7.3 პროცენტი იყო.

სებ-ის ინფორმაციით, საკრედიტო პორტფელის კლება გამოწვეულია უცხოური ვალუტით გამოსახული სესხების კლებით, სადაც კლება განპირობებულია ლარის გაცვლითი კურსის გამყარების შედეგად უცხოური ვალუტის სესხების გადაფასებით.

მაისის ბოლოსთვის საკრედიტო პორტფელის 79.5% გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა. რომლის 69.0% უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 41.9%-ს შეადგენდა.

საანგარიშო პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 23.2 მლნ ლარით (0.4 %) გაიზარდა და 5.43 მლრდ ლარს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა მაისში 41.0 მლნ აშშ დოლარით (0.9%) გაიზარდა და პერიოდის ბოლოს 4.52 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ამ კატეგორიის კრედიტების 60.0%-ს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენდა, ხოლო 83.8% გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს. უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდა ძირითადად გრძელვადიანი დაკრედიტების ზრდით არის გამოწვეული.

ბიბიენი

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან უნდა განხორციელდეს მიწამწოვი ტექნიკა-დანადგარების მეშვეობით.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა ფოთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 65 100 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა ფოთის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

8 729 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

872,9 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

4 565 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ობიექტიდან ქვიშის მოპოვება უნდა მოხდეს „მიწამწოვი“ ტექნიკის საშუალებით.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 33 300 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

5 069 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

506,9 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

2 735 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 1 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 1 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა

3 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი

204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს პოტენციური ჰესის არეალში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები; ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭიორას მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 16 800 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭიორას მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი

2 731 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)

273,1 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი

1 566 ლარი

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

რიოში ქართველთა მედროშე ავთანდილ ჭრიკიშვილი იქნება



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის მორიგი სხდომა მოახლოებულ ოლიმპიურ თამაშებს და საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის სამზადისს მიეძღვნა.

გადაწყდა, რომ ოლიმპიური ფიცის დადების და დელეგაციის საზეიმო გაცილების ცერემონია გაიმართება 23 ივლისს დიღომში, ახალი ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე. იმავე დღეს ქართველ ოლიმპიელებს უმასპინძლებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

აღმასკომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სეოკ-ის პრეზიდენტის, 31-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის ლერი ხაბელოვის წინადადებას ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშედ ძიუდოისტ ავთანდილ ჭრიკიშვილის დამტკიცების შესახებ.

აღმასკომის სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე და ამავე დეპარტამენტის სპორტის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი ზურაბ ბაქრაძე.

მილტონ ჰეიგი სპორტის რაინდია

ახალ სპორტის სასახლეში რაგბის ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებთან შეხვედრა გაიმართა. მორაგბეებს წარმატება მიულოცეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა და მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ. შეხვედრას დაესწრნენ რაგბის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე და სამწვრთნელო შტაბი.

საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელმაც გამარჯვებით დაასრულა ოკეანეთის ტურნე, სამშობლოში დაბრუნდა. მინისტრმა მილტონ ჰეიგს შესრულებული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა.

ოკეანეთის ტურნეს ეგიდით საქართველოს ნაკრებმა სამი შეხვედრა გამართა და ერთი ფრედ, ორი კი გამარჯვებით დაასრულა. ოკეანეთში წარმატებული თამაშის შემდეგ, მსოფლიო რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა მე-11 ადგილზე გადაინაცვლა, რაც სარეკორდო და ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქართული რაგბის ისტორიაში.

წარმატებები აქვს საქართველოს 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებსაც, რომელმაც ინგლისში ჩატარებულ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე მე-10 ადგილი დაიკავა. როგორც ცნობილია, მომდევნო ახალგაზრდულ მსოფლიო პირველობას, 2017 წელს საქართველო უმასპინძლებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქველმოქმედო ფონდის „ქართუს“ დაფინანსებით თბილისში და საქართველოს რეგიონებში აშენდა სარაგბო კომპლექსები და სტადიონები.

შედეგები

29 ივნისი

ჩოგბურთი

უიმბლდონი

ჯაცები

დოდიგი-ბერდიხი	6:7,7:5,1:6,6:7
ზვერევი-მატიე	6:3,6:4,6:2
ელიაში-ალბოტი	6:3,2:6,5:7,4:6
ტიემი-მაიერი	7:5,6:4,6:4
ვერდასკო-ტომიჩი	6;4,3:6,3:6,6:3,4:6
ვესელი-სეისლინგი	6:2,6:4,7:6

ქალები

პეტკოვიჩი-ჰიბინო	3:6,7:5,6:2
როდინა-ცურენკო	6:3,7:5
ა.რადვანსკა-კოზლოვა	6:2,6:1
ბოსერაპი-მარია	6:4,0:6,6:2
კნაპი-კონიუხი	3:6,3:6
კვიტოვა-კირსტეა	6:0,6:4
სე-პავლუჩენკოვა	5:7,6:1,6:1
პუინგი-კონტა	1:6,5:7
პირონკოვა-ბენჩიჩი	2:6,3:6
ბუშარი-რიბარიკოვა	6:3,6:4

მდინარე თერგი ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნდა

დარიალის ხეობაში ჩატარებული ინტენსიური სამუშაოების შედეგად მდინარე თერგი კაპალოტს დაუბრუნდა და გზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს ადგილზე კოორდინაციას უწევენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე ილია დარჩიაშვილი და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამუშაოების ადგილზე 40-მდე ერთეული ტექნიკაა მობილიზებული. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ და საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები ახორციელებენ.

ნიუსპრესი

ილიას ზუროსი: „წარმატებას დაცვა და გუნდური სული მოგვიტანს“

საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი ჩვენს გუნდში უშუალო საქმიანობას 10 ივლისს, თბილისური შეკრებისას შეუდგება. მანამდე კი ის ფიბას ვებგვერდის ჟურნალისტის, დიმიტრის საკისის რესპონდენტი გახდა და საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებულ საინტერესო თემებზე ისაუბრა.

შესარჩევი ეტაპი

– შესარჩევ ეტაპზე გუნდები 7 ჯგუფად არიან გაყოფილნი. ევრობასკეტზე საუკეთესო შვიდეული გადის, რომელსაც დაემატება 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი. მეოთხე ადგილზე გასულ გუნდთან თამაშის შედეგები სათვალავში არ მიიღება. ამიტომ, მეორეადგილოსნებს, თუ ევრობასკეტზე მოხვედრა სურთ, მართებთ, ორჯერვე დაამარცხონ მესამე ადგილზე გასული ნაკრებები და ერთხელ მაინც მოუგონ პირველს. ძალიან დიდი სიფრთხილე და კონცენტრაციაა საჭირო. ერთ მატჩში ფეხის დაცდენის უფლება არავის აქვს.

მეტოქეები

– ჯგუფში ორი ძალიან ძლიერი გუნდია, ჩერნოგორია და საქართველო. ორივე იმსახურებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლას. ჩერნოგორიელებს განსაკუთრებული გუნდი ჰყავთ, წლეულს ძლიერი შემადგენლობის შეკრებას აპირებენ და შესარჩევის ნაცვლად ევროპის ჩემპიონატი ახლა რომ იმართებოდეს, უთუოდ მეოთხედფინალში გავიდოდნენ. ნიკოლა ვუჩევიჩი და ბოიან დუბლიევიჩი ევროპის საუკეთესო მეფარეთა შორის არიან. მათ მრავალფეროვანი შეტევითი არსენალი გააჩნიათ, რაც ჩვენს მეტოქეს კიდევ უფრო სახიფათოს გახდის.

ჩერნოგორიელთა მთავარი იარაღი მათი მწვრთნელია – ძალიან გამოცდილი ბოგდან ტანიევიჩი, რომელსაც წარსულში არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ჯგუფში პირველი ადგილი საქართველოსა და ჩერნოგორიას შორის უნდა განაწილდეს. იმედი მაქვს, რომ საქართველოს ნაკრები შესარჩევ ეტაპზე სრული საბრძოლო შემადგენლობით წარდგება.

ფილოსოფია

– იგორ კოკოშკოვის არა მხოლოდ კარგი მეგობარი ვარ, არამედ მისი პიროვნებისა და საქმის დიდი პატივისმცემელი. ამიტომ, ნამდვილად არ ვაპირებ, გვერდზე გადავდო ყველაფერი, რაც მას საქართველოს ნაკრებში მუშაობისას გაუკეთებია. მის ნაშენებ საფუძველზე საკუთარი კედლები უნდა დავამატო.

კოკოშკოვის ფილოსოფიის ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა გამოვიყენო. საქმე კლუბთან რომ გვქონდეს, სადაც 10 თვე გიწევს მუშაობა, შეიძლება ყველაფერი ახლიდან დაიწყო და ბოლოს მიზნამდეც მიხვიდე, მაგრამ ნაკრებში საამისოდ დრო არავის აქვს, ძალიან მოკლე დროა მოსამზადებლად და სათამაშოდ. ასეც რომ არ იყოს, რატომ უნდა გადავუხვიოთ კოკოშკოვის ფილოსოფიას, თუკი მას შედეგი მოჰქონდა?!

დაცვა

– არის ორი ასპექტი, რასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. პირველია დაცვა. მეტი აგრესია და დისციპლინა გვჭირდება. მეორეა გუნდური სული. ვიცი, რომ საქართველოს ნაკრები ამ მხრივ ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეულია, მაგრამ რაც მეტად შეკრული გუნდი გვეყოლება, მით მეტია წარმატების შანსი. კალათბურთელები უნდა გრძნობდნენ, რომ ყოველ მატჩში 40 წუთს ერთმანეთისთვის თამაშობენ, ისევე როგორც მთლიანად ტურნირს. სწორედ ეს ორი ელემენტი გამოხატავს ჩემს სტილსა და ფილოსოფიას.

საქართველო

– საქართველოში რამდენჯერმე ჩავედი. ქვეყანაც კარგად გავიცანი და კალათბურთიც. თვალშისაცემია კალათბურთელთა ამაყი ხასიათი, რომლებიც მზად არიან, ყოველგვარი მსხვერპლი გაიღონ და იბრძოლონ საკუთარი ქვეყნისთვის. ეს დადებითი მომენტია. განსაკუთრებით ეროვნული ნაკრებისთვის.

შიდა ჩემპიონატი

– საქართველოს ჩემპიონატი არ არის ისეთი ძლიერი, როგორც სხვა ქვეყნების შიდა პირველობები. შესაბამისად, უმაღლეს დონეზე, ეროვნულ ნაკრებში თამაშისთვის შიდა ჩემპიონატი ბევრ კალათბურთელს ვერ ამზადებს.

დიდ პროგრესს განიცდიან ისინი, რომლებიც საზღვარგარეთ აგრძელებენ კარიერას. თუმცა კარგი ამბავიც მაქვს: ფედერაციას აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს საკალათბურთო ლიგა წლიდან წლამდე უნდა გაუმჯობესდეს. ასევე გავიცანი ბევრი კარგი მწვრთნელი, რომლებიც სწორი მუშაობით ხელს შეუწყობენ წინსვლას. ვფიქრობ, პროგრესს მალე დავინახავთ.

საქართველოს კალათბურთელთა ბ ნაკრები ჩინეთში მიდის

საქართველოს კალათბურთელთა ბ ნაკრები, რომელიც წლეულს შეიქმნა, სადებიუტო მატჩებს ჩინეთში გამართავს. დავით უსტიაშვილისა და ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი ჩინური შეკრების ფარგლებში, 1-დან 14 ივლისის ჩათვლით 3 საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და მთლიანობაში 9 მატჩს ჩაატარებს.

ბ ნაკრები 15 ივნისს შეიკრიბა და ჩინური ტურნესთვის ემზადება. ნაკრებს ოფიციალური მატჩები არ ექნება, რადგან ეს გახლავთ ეროვნული ნაკრების სარეზერვო გუნდი, სადაც ის მოთამაშეები არიან თავმოყრილნი, რომლებიც ეროვნული გუნდის კანდიდატებად განიხილებიან, მაგრამ ამ ეტაპზე ძირითად ნაკრებში ვერ მოხვდნენ. საიმისოდ, რომ ეს მოთამაშეები მზადყოფნაში იყვნენ და სათამაშო კლასიც აიმაღლონ, კალათბურთის ფედერაციამ ბ ნაკრების შექმნა გადაწყვიტა და ჩინური ტურნეც დაუგეგმა.

საერთაშორისო ტურნირები ჩინეთის პროვინცია ჯიანგსუს 3 ქალაქში – ჩანგშუში, ჟანგჯიაგანგში და ნანტონგში გაიმართება. საქართველოს, ჩინეთისა და პოლონეთის ბ ნაკრებებთან ერთად ტურნირებში მონაწილეობას მიიღებს რუმინეთის ეროვნული გუნდი. ჩამოთვლილი ნაკრებები სამ ქალაქში ცალ-ცალკე ტურნირებს ჩაატარებენ: ჩანგშუში (4-6 ივნისი), ჟანგჯიაგანგში (8-10 ივლისი) და ნანტონგში (12-14 ივლისი).

გამგზავრებამდე ბ ნაკრებმა სპორტის ახალ სასახლეში ღია ვარჯიში გამართა, რომლის დროსაც მისმა წევრებმა კომენტარები გააკეთეს.

დავით უსტიაშვილი, მთავარი მწვრთნელი:

– ჩინეთში საკმაოდ ძლიერ გუნდებს შევხვდებით – რუმინეთის ეროვნული და ჩინეთისა და პოლონეთის „ბ“ ნაკრებები სოლიდური სპარინგ-პარტნიორები არიან და მათთან დაპირისპირებაში ჩვენი ბიჭები საკმაო გამოცდილებას მიიღებენ. მართალია, მოსამზადებლად დიდი დრო არ გვქონდა და არც სპარინგ-მატჩები ჩაგვიტარებია, თუმცა თავად ჩინეთში, სადაც 9 მატჩი უნდა ჩავატაროთ, იმედი მაქვს, გუნდი მოუმატებს.

რევაზ როგავა, უკანახაზელი:

– პირველი წელია, რაც ბ ნაკრები შეიკრიბა, რაც კარგი წამოწყებაა, რადგან არაერთ მოთამაშეს საშუალება აქვს, საერთაშორისო მატჩებში თავი გამოიჩინოს და დაამტკიცოს, რამდენად იმსახურებს ეროვნულ ნაკრებში თამაშს.

გიორგი ჯგერენაია, ფორვარდი:

– მივემგზავრებით ჩინეთში. მოსამზადებელი ეტაპი, სამწუხაროდ, არ გვქონდა საკმარისი, მაგრამ ადეკვატურ ფორმაში ვართ, რომ შევხვდეთ ამ გამოწვევას. უნდა ჩავატაროთ 3 ტურნირი, რომლებშიც შევხვდებით საკმაოდ ძლიერ გუნდებს. ეს იქნება ჩვენთვის პირველი გამოცდა და ვეცდებით, ღირსეულად შევხვდეთ მას.

საქართველოს ბ ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

უკანახაზელები: ირაკლი მიქელაძე (ბათუმი), ბექა წივწივაძე (ვითა), რევაზ როგავა (ოლიმპი), გივი ბაქრაძე (სოხუმი);

ფორვარდები: ნოდარ გოგოძე, გრიგოლ შვანგირაძე (ორივე დინამო), კახა ჯინჭარაძე, გიორგი ორმოცაძე (ორივე მგზავრები), მერაბ ბოქოლიშვილი (აკადემია), გიორგი ჯგერენაია (სოხუმი), ბექა ბექაური (ქუთაისი);

ცენტრები: აკაკი დვალიშვილი (ბათუმი), რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

50 წლის ქალი თავს 25 წლის გოგონას გარეგნობით იწონებს

ჩინეთის პროვინცია ჰენანის მცხოვრებმა, რომელიც სპორტითაა გატაცებული, ინტერნეტმომხმარებლები საკუთარი გარეგნობით გააოგნა – 50 წლის ქალბატონი ორჯერ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ე ვენი 30 წლის ასაკიდან ყოველდღიურად სტუმრობს საცურაო აუზსა და სავარჯიშო დარბაზს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მარტში ქალმა მალაკსის სრუტე გადაცურა და ამჟამად სამხრეთ კორეაში მდინარე ჰანგანის გადაცურვას გეგმავს.

ვენს იმედი აქვს, რომ ბიკინების ტარებას 80 წლის ასაკამდე შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ქალის ფოტოსურათებმა პოპულარობა ჩინურ სოციალურ ქსელებში მოიხვეჭა, სადაც ადამიანები მისი ფიზიკური ფორმით აღტაცებას ვერ მალავენ.

– 50 წლის ქალი 20 წლის გოგონას ფიგურითა და სავსე პოზიტიური ენერგიით, – ასეთი კომენტარი აქვს გაკეთებული ჩინელი ქალის ფოტოს ინტერნეტში.

სკეიტბორდისტმა ტონი ჰოუკმა ილეთი 900 17 წლის შემდეგ გაიმეორა

ამერიკელმა სკეიტბორდისტმა ტონი ჰოუკმა ილეთი 900, რომელიც ერთ-ერთ ურთულესად ითვლება, 17 წლის შემდეგ გაიმეორა. ამ ელემენტის შესრულების ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული და მოკლე დროში მან 80 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

სწორედ ჰოუკია პირველი სკეიტბორდისტი, რომელმაც ილეთი 900 შეასრულა. პირველად ეს ილეთი ამერიკელს 1999 წელს სანფრანცისკოში მსოფლიოს ექსტრემალური თამაშების შეჯიბრებაში გამოუვიდა. ელემენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სკეიტბორდისტი ჰაერში ორ-ნახევარ ბრუნს ასრულებს და ძირს სახით სტარტის საწინააღმდეგო მხარეს ეშვება. ჰოუკის შემდეგ ილეთი 900-ის შესრულება მხოლოდ 13-მა სკეიტბორდისტმა მოახერხა.

ამჟამად ტონი ჰოუკი 48 წლისაა.

თუთიყუშის ჩვენებას მკვლელობის გამოძიების ფარგლებში გამოიყენებენ

ამერიკის პოლიციამ გადაწყვიტა, გამოძიებაში გამოიყენოს მოლაპარაკე თუთიყუშის სიტყვები, რომელიც თავისი პატრონის მკვლელობის მოწმე გახდა.

ადგილობრივი გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მარტინ დურამი მის საკუთარ ბინაში 2015 წელს მოკლეს. ცნობილია, რომ მიჩიგანის შტატის მცხოვრები სიკვდილის წინ ცოლს, 48 წლის გლენს ეჩხუბებოდა. მათი კონფლიქტის მოწმე გახდა მათი მოლაპარაკე თუთიყუში, რომელმაც გამომძიებლების წინაშე წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც, სავარაუდოდ, დაზარალებულმა წარმოთქვა: „არ მესროლო, შე... (უცენზურო სიტყვები)“.

დაღუპულის ნათესავებმა, რომლებიც მარტინის დაღუპვის შემდეგ თუთიყუშს უვლიან, დარწმუნებულნი არიან, რომ ფრინველმა მოკლულის უკანასკნელი სიტყვები გაიმეორა. მათი თქმით, პატრონის ხმის გამეორებისას ფრინველი ზუსტ ინტონაციას იყენებს.

ადგილობრივ პროკურატურაში იმაზე მსჯელობენ, ფრინველის წარმოთქმული სიტყვები იქნება თუ არა დასაშვები ჩვენება სასამართლოზე. აღსანიშნავია, რომ მოკლულის ცოლი დააკავეს და მას მეუღლის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს.

უკრაინელი წარმოშობის ამერიკელმა ბლოგერმა აუზი კოკა-კოლათი აავსო

წარმოშობით უკრაინელმა ტარას მაკსიმუკმა, რომელიც ამერიკის კალიფორნიის შტატში ცხოვრობს, სახუმარო კვლევა ჩაატარა. მან აუზი კოკა-კოლათი და მენთოსის დრაჟეებით აავსო, ასევე დაუმატა 90 კილოგრამი ყინული, შემდეგ კი მასში კვადროკოპტერიც ჩაუშვა. ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ბანაობს აუზში მისი ერთ-ერთი მეგობარი, ბლოგერმა იუთუბიზე საკუთარ არხზე გამოაქვეყნა. ოთხ დღეში ვიდეორგოლმა 15 მილიონი ნახვა მოაგროვა.

ვიდეოჩანაწერისთვის დართულ მინაწერში მაკსიმუკმა მიუთითა, რომ მას რამდენიმე კვირა დასჭირდა, რათა აუზის შესავსებად საჭირო რაოდენობის კოკა-კოლა მოეგროვებინა. მიუხედავად დიდი რაოდენობით ნახვისა, ჩანაწერისთვის გაკეთებულ კომენტარებში ინტერნეტმომხმარებლები ბლოგერის ნამოქმედარს „ფულის უაზრო ხარჯვას“, ხოლო თავად ე.წ. კვლევის მონაწილეებს „სულელ და გატუტუცებულ ბავშვებს უწოდებენ“.

ძროხა, პონი და ვირი ავსტრალიურ ბარს ესტუმრნენ

ავსტრალიაში ძროხა, პონი და ვირი შემთხვევით სასტუმრო კომპლექსის ბარში აღმოჩნდნენ, რომელიც ქალაქ დარვინიდან 40 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთით მდებარეობს.

ინციდენტი ორი დღის წინ მოხდა. ცხოველების ბარში გამოჩენამ იქ მყოფთა გაოგნება გამოიწვია, ხოლო დაწესებულების პატრონმა პოლიცია გამოიძახა, მათ მოსვლამდე კი უკანა ეზოში დაუპატიჟებელ სტუმრებს ერთგვარი ფარეხი მოუწყო.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ცხოველები საქონლის ეზოდან იყვნენ გამოქცეულები. ისინი იმავე დღეს მათ პატრონს დაუბრუნეს.

ცოლშვილიანი იაპონელი სექსთოჯინასთან ცხოვრობს

იაპონიის ქალაქ ნაგანოს მცხოვრები მამაკაცი პლასტმასის სექსთოჯინასთან ცხოვრობს, მაშინ როდესაც მას ცოლი და ორი შვილი ჰყავს.

61 წლის სენძი ნაკაძიმამ თოჯინას საორი დაარქვა და მასთან ერთად ტოკიოში მდებარე ბინაში ცხოვრობს. მამაკაცი, რომელსაც საკუთარი ბიზნესი აქვს, ნაგანოდან საკუთარ საქმეებზე დაახლოებით ექვსი თვის წინ გაემგზავრა და, მარტოდ დარჩენილმა, გადაწყვიტა, მანეკენთან ერთად ეცხოვრა. თავიდან მამაკაცი საორის მხოლოდ სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყენებდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მას, როგორც ადამიანს, ისე მიეჩვია.

ახლა უკვე სენძი თოჯინასთან ერთად დადის მაღაზიებში, ის ეტლით გადაჰყავს, სეირნობს პარკში, დაჰყავს პაემანზე. იაპონელის თქმით, მას მოსწონს, რომ თოჯინა ყოველთვის მის გვერდითაა და რაიმე ქვენა გრძნობები არ ამოძრავებს. მამაკაცმა ასევე აღნიშნა, რომ აღარ სურს, რომ მის გვერდით ნამდვილი ქალი იყოს. რა რეაქცია აქვთ მამაკაცის ასეთ გატაცებაზე ოჯახის წევრებს, უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ასეთი პლასტმასის თოჯინა დაახლოებით 5 ათასი დოლარი ღირს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩვენს საყვარელ
მზია ქოქაშვილს
ვულოცავთ დაბადების დღეს,
ვუსურვებთ
ჯანმრთელობას, ბედნიერებას,
დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს,
ყოველგვარ სიკეთესა და სიხარულს.
სიყვარულით, „ახალი თაობა“

ასტროპროგნოზი
1 ივლისისთვის

ვერძი – ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **კურო** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ნუ გარისკავთ. საყიდლებზე წასვლა დღეს არ ღირს. **ტყუპები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. სავაჭროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ფინანსურ სფეროში წარმატება თქვენს შორსმჭვრეტელობასა და წინდახედულობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. ეცადეთ, საკუთარ გრძნობებსა და აზრებში გაერკვეთ. ეცადეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდეთ. **ლომი** – ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება. ნუ აჩქარდებით. **ქალწული** – კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. ნუ გარისკავთ. კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრების გარემოცვაში დაისვენებთ. **სასწორი** – მნიშვნელოვანი საქმეების დასაწყებად შეუფერებელი დღეა. შესაძლოა, საქმიანმა პარტნიორმა იმედი გაგიცრუოთ. **ღრიანკალი** – საყვარელ ადამიანებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, უნდა დამშვიდდეთ და სულიერი წონასწორობა მოიპოვოთ. **მშვილდოსანი** – ყურადღება მიაქციეთ თქვენსა და ახლობლების ჯანმრთელობას. ცდუნებას არ აჰყვეთ. **თხის რქა** – ახლობელ ადამიანთან უთანხმოება, ჭორები და ცილისწამება სულიერ წონასწორობას საკმაოდ დაგირღვევთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ემოციებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – სერიოზული ცვლილებების დღეა. ეს ცვლილებები იწვევს როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს. თქვენზე გავრცელებულ ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. საქმე მშვიდად აკეთეთ. **თევზები** – მეგობრული და ნათესაური კავშირების აღსადგენად შესაფერისი პერიოდია. ფრთხილად იყავით კონფლიქტური სიტუაციებისას. ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 2. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 3. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 4. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. მაროკოს დედაქალაქი; 11. უდაბნოში მზარდი დაბალი ხე ან ბუჩქი; 12. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი; 13. ფრანგი სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 21. ირლანდიელ მწერალ ჯოისის რომანი; 23. შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

თარაზულად: 6. ორკორპუსიანი გემი; 7. რძის შაქარი; 8. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. თანამედროვე მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისი რამ; 22. პატარა სამკუთხა ალამი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 26. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დუქანი; 2. ვოტუმი; 3. კაზმი; 5. კოლი; 6. ჩიხურა; 8. იშხანი; 11. ხაბიზგინა; 13. ტორნადო; 14. მეტეორი; 15. თაიგული; 19. თული.

თარაზულად: 1. დუბროვნიკი; 4. ოჩოკოჩი; 7. ქსილიტი; 9. მარშალი; 10. ცხუმი; 12. პლასტიკა; 16. ჩიხირთმა; 17. კრუზადო; 18. ხევსურეთი; 21. ნუსხური; 21. რომა; 22. მარკიორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. დიპლომატი; 4. ტრაპერი; 5. მანერგეიმი; 10. მალაგა; 11. ფარავანი; 12. ჯინჯილა; 13. კელნერი; 16. მონტესუმა; 17. კიმიგაიო; 19. ანტიგონე; 21. გესლი; 23. აჭარა.

თარაზულად: 6. დეგრადაცია; 7. კრიტიკა; 8. წიქარა; 9. კორონერი; 14. რეიტინგი; 15. დინოზავრი; 18. გენია; 20. ყიფიანი; 22. პიანინო; 24. ხერესი; 25. ჩურჩხელა; 26. კარტიე.

ნანუკა ჟორჟოლიანი ისევ იმუქრება

ცოტა ხნის წინ ტელეწამყვანმა ნანუკა ჟორჟოლიანმა თქვა, რომ სტანისლავ ბონდარენკოს ქველმოქმედებით ისარგებლეს და 17 წლის მიხეილ სხვიტარიძეს შეგროვილი თანხები არ ჩაურიცხეს.

ამ ამბავს გაგრძელება მოჰყვა. ლუკა ჩხარტიშვილი, რომელიც რამდენიმე უმძიმესი დაავადებით არის ავად და გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება, კულტურის პალატამ იშვილა. მისმა დედამ ნანუკას წერილი მისწერა, თითქოს ტელეწამყვანი მას დახმარებას დაჰპირდა და პირობა არ შეასრულა.

ნანუკა ჟორჟოლიანი:

– ეს დათო ოქიტაშვილის ხელწერას უფრო ჰგავს, მაგრამ ვეძებ ამ ქალს და იქნებ მაპოვნინოთ. როდის და რას დავპირდი, მინდა მანახოს! ნინო სურგულაძე და ეკა ხოფერია, იქნებ მაპოვნინოთ. პ.ს. ბონდარენკო რისთვისაც ჩამოიყვანეს, ის ფული კიდევ არ ჩარიცხულა და რა კამპანიებიც არ უნდა წამოიწყოთ, ბოლომდე ჩავყვები ამ ამბავს! არაფერი გიშველით!

ლუკა ჩხარტიშვილის დედამ ნანუკა ჟორჟოლიანი დაპირების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა:

– ქალბატონო ნანუკა, მე, თქვენ რომ დახმარება აღუთქვით, მაგრამ საბოლოოდ მისთვის არაფერი გაგიკეთებიათ, იმ ლუკა ჩხარტიშვილის დედა ვარ! რამდენჯერ მოგმართეთ, გთხოვეთ, იქნებ თქვენს გადაცემაში გამონახოთ დრო და ჩემი ურთულესი დაავადებების მქონე შვილს დაეხმაროთ-მეთქი. ეს რამდენიმე თვის წინ იყო და ისე გავიდა თვეები, თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ. რაღაცებს მპირდებოდით, მაგრამ თქვენი დაპირება დაპირებად დარჩა!

დღეს თქვენ ამბობთ, სტანისლავ ბონდარენკო რომელი ქველმოქმედებისთვის ჩამოიყვანესო? მე გიპასუხებთ: სწორედ ამ გოგოებს, ნათიას და ელენეს დაებადათ იდეა, სტანისლავი საქართველოში ჩამოსულიყო ჯერ მიხოს დასახმარებლად და შემდეგ ამას უკვე ბევრი საქველმოქმედო საქმე მოჰყვა.

❖ ❖ ❖

მოგვიანებით ნანუკასა და ლუკას დედას შორის კომუნიკაცია მოხერხდა და ყველაფერი გაირკვა.

– ველაპარაკე ლუკას დედას, რომელმაც მიმართვა გაავრცელა, თითქოს მე დავპირდი და არ დავეხმარე მის შვილს. მან მითხრა, რომ ეს დაწერა ერთი მიზეზის გამო. მას „ვიღაცებმა“ უთხრეს, რომ თითქოს მე დავწერე პოსტი, თანხა, რომელიც უნდა გადარიცხულიყო მიხოსთვის, შეგახსენებთ, სწორედ ამ ბავშვის დასახმარებლად ჩამოვიდა უკრაინელი მსახიობი ბონდარენკო და ორგანიზატორებმა, ხაზს ვუსვამ, ორგანიზატორებმა ფული ბავშვს ამ დრომდე არ ჩაურიცხეს, მის შვილზე დაიხარჯა.

მაქვს აუდიოჩანაწერი დედასთან საუბრის. ან ეს ტყუილი როგორ გაბედეთ, ან რას ხლართავთ, რომ თავი გადაირჩინოთ! ასე რად გიღირთ ეგ 19.000 ლარი, რომ ამდენ სისულელეს აკეთებთ?! მოკლედ, ბოლომდე ჩაგყვებით! ან გადაურიცხავთ მაგ ფულს ბავშვს, რომელსაც გადაუდებელი ოპერაცია სჭირდება, ან მივალთ პროკურატურამდე! რაც არ უნდა ხლართოთ, არ გიშველით!– წერს ნანუკა ჟორჟოლიანი.

ნინი შერმადინი ბროდვეიზე მთავარ როლზე აიყვანეს

– ახალი შოუ იდგმება ბროდვეიზე, სადაც ამიყვანეს ერთ-ერთ მთავარ როლზე, – ეს განცხადება მომღერალ ნინი შერმადინს ეკუთვნის, რომელიც რამდენიმე წლის წინ კარიერის შესაქმნელად ამერიკაში წავიდა.

ნინი შერმადინი საქართველოს რამდენიმე დღის წინ ესტუმრა. როგორც მომღერალმა განაცხადა, ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც შრომა განსაკუთრებულად ფასდება:

– ჩვენი შოუს რეპეტიციები სექტემბერში დაიწყება. ახლა დიდი სამზადისი მიმდინარეობს. საბედნიეროდ, ბევრი წარმატებული ქართველი გვყავს ნიუ იორკში, იქ არიან ვაჟა მანია, ბექა გოჩიაშვილი, სალომე ქათამაძე. მინდა ყველას, ჩემი ჩათვლით, წარმატებები ვუსურვო.

მარაბდობა სახალხო დღესასწაულით აღინიშნება

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა სახალხო დღესასწაული მარაბდობა აღადგინა.

ღონისძიება მარაბდის ველზე იმართება იმ ომის მოსაგონრად, სადაც იბრძოდნენ 9 ძმა ხერხეულიძე, 9 მაჩაბელი, 7 ჩოლოყაშვილი და 10.000 მეომარი. თითოეული მათგანი საქართველოს ეკლესიამ წმინდანაც შერაცხა.

1 ივლისს მარაბდობა ტრადიციულად ღია ცის ქვეშ გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მეცნიერები, მსახიობები, ჩოხოსანთა დასის ანსამბლი „შავლეგო“, თეატრალური უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი „თეატრონი“.

პირველად მარაბდობის დღესასწაულის ფარგლებში ღია ცის ქვეშ მოეწყობა კინოჩვენება. ნაჩვენები იქნება გიორგი სააკაძის მეორე სერია. ჩოხოსნები განათლების მინისტრს სთავაზობენ, რომ ყოველი წლის 1 ივლისს, 1 აგვისტოსა და 1 სექტემბერს ჩატარდეს კინოჩვენებები ღია ცის ქვეშ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნოდარ მახარობლიძის მოგონება



უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა შესანიშნავი ადამიანი ნოდარ სპირიდონის ძე მახარობლიძე.

უზომოდ დიდია მისი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. ვერაფერი ამოავსებს იმ ტკივილს, რომელიც მისმა წასვლამ მოგვაყენა.

ნოდარ მახარობლიძე მუდამ იქნება ჩვენს გულში, როგორც საუკეთესო პიროვნება, უსაზღვროდ მოსიყვარულე და სიკეთით აღსავსე. საკვირველია, როგორ იტევდა მისი გული ამდენ სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს, მზრუნველობას, ქველმოქმედებას. მას ხომ ყველა ძალიან უყვარდა და ყველაზე შესტკიოდა გული.

ყველას ძალიან მოგვენატრა მისი კეთილი გამოხედვა, ალერსიანი თვალები, თბილი სიტყვები, სიყვარულით სავსე, მზრუნველი მოქმედება.

ვერაფერი ამოავსებს იმ უზომო ტკივილს, რომელიც ნოდარ მახარობლიძის იმქვეყნად წასვლამ გამოიწვია მის მეუღლეში, შვილებში, შვილიშვილებში, ყველა ახლობელში.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ არასდროს დავივიწყოთ მისი სახელი და თაობიდან თაობას გადავცეთ.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მშვიდად განისვენოს სამუდამო სასუფეველში!

საქართველოს პენსიონერთა კავშირი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს პენსიონერთა კავშირის აქტიურ მხარდამჭერსა და თანამოაზრეს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 ხელოვნების სკოლის დირექტორს, ბატონ თამაზ მოლაშვილს შვილის, საზოგადო მოღვაწის

სულხან მოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნაციონალები ოპოზიციონერებს სპეციალური ვირუსის გამოყენებით უსმენდნენ

რუსული გამოცემა „КоммерсантЪ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წელს ოპოზიციური პოლიტიკოსების ფარული სატელეფონო მოსმენების გამო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის პატიმრობის შეფარდების ფაქტს ეხმაურება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

ვანო მერაბიშვილის ყოფილ მოადგილეს შოთა ხიზანიშვილს (1,6 წლით), კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს ლევან ქარდავას (იმავე ვადით) და იმავე დეპარტამენტის ოპერატიული განყოფილების უფროსს ვაჟა ლილუაშვილს (3 წლით) თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

გამოძიების მონაცემებით, თავიანთი მიზნის მისაღწევად აღნიშნულმა პირებმა კოალიციის ლიდერის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის დაცვის თანამშრომელი დააშანტაჟეს.

შოთა ხიზანიშვილს ბორკილები პირდაპირ სასამართლო დარბაზში დაადეს, როგორც კი მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა.

ჩამოთვლილი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლნი არიან საქართველოს თავდაცვის დღევანდელი მინისტრი თინათინ ხიდაშელი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და დეპუტატი გუბაზ სანიკიძე.

ოთხი წლის წინ ისინი ოპოზიციის ლიდერები იყვნენ და კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით 2012 წლის პირველ ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას მიაღწიეს. იმ ხანებშივე გამოქვეყნდა ოპოზიციის ლიდერების სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, რომლის თანახმად, ისინი ერთმანეთის მიმართ უცენზურო სიტყვებსა და არასასიამოვნო ეპითეტებს არ იშურებდნენ. იმ დროს აღნიშნული აუდიოჩანაწერი ყველა ქართულმა ტელეარხმა გადასცა ეთერში.

პროკურატურამ ამ „დეტექტიური ისტორიის“ სენსაციური მონაცემები გამოაქვეყნა: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ბიძინა ივანიშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრი ბესიკ სურმავა უცნაურად გაქრა, რამდენიმე დღის შემდეგ კი მან სოციალურ ქსელებში საზოგადოებისადმი ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა და განაცხადა, ამ აუდიოჩანაწერის გაკეთება ბიძინა ივანიშვილმა საიდუმლოდ მიბრძანა, რომ თანამებრძოლები დაეშანტაჟებინაო.

თვითონ ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც არჩევნების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა, განკარგულება გასცა, რომ მომხდარი ფაქტი გულდასმით გამოძიებულიყო. როგორც გაირკვა, აუდიომოსმენა საიდუმლოდ შოთა ხიზანიშვილმა, ლევან ქარდავამ და ვაჟა ლილუაშვილმა განახორციელეს, შემდეგ ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი ბესიკ სურმავა შანტაჟითა და მუქარით იძულებული გახადეს, „გამქრალიყო“ და აუდიოჩანაწერი სოციალურ ქსელებში თავისი სახელით გამოექვეყნებინა.

გამოძიებამ ფარული მოსმენების საოცარი ფაქტები აღმოაჩინა: როგორც გაირკვა, სამინისტროს ოპერატიული განყოფილების უფროსი ვაჟა ლილუაშვილი ოპოზიციონერების პერსონალურ პირად კომპიუტერებში გაშვებული სპეციალური ვირუსული პროგრამის მეშვეობით არა მარტო სატელეფონო ლაპარაკს იწერდა, არამედ სახლში წარმოებულ ყველა საუბარსაც.

როგორც „კომერსანტს“ 2007-2012 წლების ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, კინორეჟისორმა გიორგი ხაინდრავამ განუცხადა, მსგავსი ოპერაციების ჩატარების სანქცია პირადად მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა: „ამ ჩანაწერებს თვითონ პრეზიდენტი უყურებდა და უსმენდა, შემდეგ კი ჯიბის ტელეკომპანიებს ეთერში აშვებინებდა ხოლმე“, – აღნიშნა გიორგი ხაინდრავამ.

TV პროგრამა

პარასკევი 1 ივლისი

07.30 დ/ფ "ფოტო" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენბერ ვებრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საიცარი ლეგენდები" **15.00** "ევრო – **2016**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.00** ევრო-**2016. 22.50 ფეხბურთი** ევრო **2016. 1/4** ფინალი. **01.00** ევრო-**2016. 01.40** მხ/ფ "**სასიკვდილო რგოლა**" (ჯ.სტეტჰემი) **03.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **04.00** "ხანმოკლე XX საუკუნე" **04.30** "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 15.30, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00 ძიუდო**: საერთაშორისო ტურნირი – გრან პრი **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბაბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პაპარაკალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ "**რეპბრო 4**" **01.30** მხ/ფ "**ბიდელბონი**" **03.15** მხ/ფ "**წითელი ნათება**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**ვანგელისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**ჯარგი ცოლი**" **11.00, 2.55** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძალები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორგლებზე**" **1.00** მხ/ფ

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** მოკ. მხ/ფ "**ეპესა ოთხი ხელისთვის**" **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** ღვთის სახლი **17.15** მიწათმოქმედი "მეფუტკრე კვაშტადან" **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სხვისი ფილეები**" **20.30** ამბიონი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.00** სიახლენი **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ოძრახისის სამკვიდრო-ზანავი,ჭულე, ზარზმა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო... **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ფესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **9.25** ევროპის ჩემპიონატის დღიურები **10.05** სერ. "**ბაბინანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკინი**" **13.00, 14.05, 2.00** სერ. "**გულს ვერ უბრაკავებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.3423	ევრო — 2.5976
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1394	100 რუსული რუბლი — 3.6552

ამინდის პროგნოზი 1 ივლისისთვის

28 ივნისიდან

თედორე დოსტოევსკი
დანაშაული და სასჯელი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ალიშა კიზი წითელ ხალიჩაზე კოსმეტიკის გარეშე გამოვიდა

ამერიკელი მომღერალი ალიშა კიზი, რომელიც მოძრაობის „არა მაკიაჟს“ მონაწილეა, ბეტ ეივორდის დაჯილდოების ცერემონიამდე წითელ ხალიჩაზე კოსმეტიკის გარეშე გამოვიდა.

კიზს ეცვა შავი ფერის კომბინეზონი, ხოლო თმებზე ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული. აღსანიშნავია, რომ მომღერალი ცდილობდა, ხაზი გაესვა ბუნებრივი სილამაზის უპირატესობისთვის იმ ხელოვნურ სახესთან მიმართებით, რომლის მიღწევასაც ქალები მაკიაჟის დახმარებით ცდილობენ.

პირველად 35 წლის მსახიობმა ფოტოსესიაზე გრიმის გარეშე გამოსვლა მიმდინარე წლის მაისში გადაწყვიტა. ბუნებრივი სახის წარმოჩენისკენ ალიშას ფოტოგრაფმა პაოლო კუდასკიმ უბიძგა. ამის შემდეგ კიზი სოციალურ ქსელებში მოძრაობის „არა მაკიაჟს“ მონაწილე გახდა. ის ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე მუდმივად აქვეყნებს საკუთარ უმაკიაჟო ფოტოსურათებს.

– მე დასამალი არაფერი მაქვს, არც სახე, არც გონება, არც სულიერება, არც აზრები, არც ოცნებები, არც ემოციები, – დაწერა ალიშამ საკუთარ ესეში, რომელშიც განმარტა ის მიზეზები, რომლებმაც კოსმეტიკაზე უარის თქმისკენ უბიძგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბენტეკე კრისტალ პალასში გადადის

ლივერპულის ბელგიელი ფორვარდი კრისტიან ბენტეკე ზაფხულში გუნდს დატოვებს. ბენტეკეს წასვლის შესახებ ადრეც იწერებოდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ლივერპულმა საუთჰემპტონის ფორვარდი სადიო მანე იყიდა, ცხადი გახდა, რომ ბენტეკეს ადგილი ლივერპულში აღარ არის.

ბენტეკეს შეძენა კრისტალ პალასს სურს და მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი ევრო გადაიხადონ. ბელგიელი ფორვარდის შეძენის სურვილს ვესტ ჰემიც გამოთქვამს. ბენტეკე ლივერპულში 2015 წლის ზაფხულს გადავიდა ასტონ ვილადან, მაგრამ იურგენ კლოპის მოსვლის შემდეგ მან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, რის გამოც ბენტეკემ ლივერპულიდან წასვლის სურვილი თვითონვე გამოთქვა.

ჯერარდი: „ინგლისის ნაკრების პრობლემა შიშია“

ლივერპულის ლეგენდამ და ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ ნაკრების მთავარი პრობლემა შიშია, რადგან მოედანზე ფეხბურთელები თავდაჯერებულნი არ არიან, რასაც მოჰყვება კიდეც მათი შეცდომები. ჯერარდის აზრით, ინგლისის ნაკრებში უამრავი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს, უბრალოდ, მათ მეტი თავდაჯერებულობა სჭირდებათ, მაშინ როდესაც ნაკრების მაისურით გამოდიან მოედანზე.

ჯერარდი იმედოვნებს, რომ ეს ყველაფერი შეიცვლება და ნაკრები თავის პოტენციალს ბოლომდე გამოავლენს.

იუმორი

ქმარს ცოლმა შეუსწრო ქალთან და ატეხა ერთი ამბავი.

– რაია, შე სასიკვდილე, რა, ვისში გამცვალე, რას ჰგავს...

– აუ, შენი მოსაწონი ქალი ხომ ვერ ვნახე, რა.

•••

ახალგაზრდა თავისი შეყვარებულის მშობლებს ეცნობა. გოგონას მამა ეკითხება:

– დალევ რამეს?

– არა, საერთოდ არ ვსვამ.

– ჰოო, გაგიჭირდება ჩემ ქალიშვილთან ცხოვრება, გაგიჭირდება.

•••

მასწავლებელმა ხატვის გაკვეთილზე შიშველი ქალის ქანდაკება შეიტანა და მოსწავლეებს ეკითხება:

– აბა, ლალი, შენ მიპასუხე, ყველაზე მეტად რა მოგეწონა ქანდაკებაში?

– მხრები, თავი...

– ყოჩაღ, დაჯექი. აბა, შენ რას მეტყვი, ლევან?

– მკერდი.

– ახლავე გაეთრიე კლასიდან!

– ახლა შენ მითხარი, გიგი, რა მოგეწონა ამ ქანდაკებაში?

– კარგით, გავდივარ, გავდივარ...

•••

ინტერნეტში, ფორუმში, განცხადებაა:

– მჭირდება ქონდრისკაცის ფორმა, ზომა 54, სიმაღლე 178.

პირველი კომენტარი:

– ფიფქიას წარმოდგენისაც კი მეშინია...

•••

ბიჭი გოგონასთან ერთად პარკში სეირნობს. ხედავს, წარწერაა: „ნუ დაანაგვიანებთ, არ გადააფურთხოთ, ჯარიმა 10 ლარი!“

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– შეგიძლია გადააფურთხო, მე ვიხდი.

•••

განცხადება:

– არ ვსვამ, არ ვეწევი, ქალებში არ დავდივარ, ვწვები 22:00 საათზე და ვდგები დილის 6:00 საათზე. ვარ წყნარი, მშვიდი, დამჯერი... მაგრამ გამოვალ ციხიდან და ყველაფერი შეიცვლება!

•••

ამერიკელის ოცნება – მილიონი იშოვოს;

არაბის ოცნება – მილიონი დახარჯოს;

რუსის ოცნება – მილიონი მაღაზიის ვალის გასტუმრებაში ეყოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



29 ივნისიდან
მსოფლიო ისტორიის ატლასი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

30 ივნისიდან

ვიქტორ ჰიუგო
კაცი, რომელიც იცინის

მეორე ნაწილი



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ნეიმარი ბარსელონიდან არ მიდის

ნეიმარი ბარსელონის დატოვებას არ აპირებს. ამის შესახებ ბარსელონის პრეზიდენტმა ხოსე მარია ბართომეუმ განაცხადა და დაამატა, რომ რამდენიმე დღეში ნეიმარი კატალონიურ გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ნეიმარის ყიდვა უამრავი კლუბის ოცნებაა. აქედან ყველაზე მეტად რეალი და მანჩესტერ იუნაიტედი აქტიურობენ. რეალი მზად არის, ამ ტრანსფერში 190 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ნეიმარი არ იყიდება.

რაც შეეხება მანჩესტერ იუნაიტედს, ის ბრაზილიელ ფორვარდს ზღაპრულ პირობებსა და ანაზღაურებას სთავაზობს, თუმცა ნეიმარმა არაერთხელ თქვა, რომ მას ბარსელონიდან წასვლა არ სურს.

აზარმა შესაძლოა უელსთან შეხვედრა გამოტოვოს

ბელგიელების მთავარი ვარსკვლავი ედენ აზარი ვარჯიშს დაუბრუნდა, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა უელსის წინააღმდეგ თამაშს.

აზარმა ინდივიდუალური ვარჯიში ჩაატარა და თქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ბელგიის ნაკრებს დაეხმაროს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში. აზარმა მცირე ტრავმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო, რის გამოც რამდენიმე დღეა, გუნდისგან ცალკე ვარჯიშობს.

ბელგია-უელსის დაპირისპირება დღეს, 1 ივლისს, გაიმართება და შეხვედრის ფავორიტად ბელგიელები ითვლებიან, თუმცა უელსის ნაკრებმა ამ ტურნირზე დაამტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა.

ევრა ისლანდიას უფრთხის

საფრანგეთის ნაკრების მცველმა პატრის ევრამ თანაგუნდელები გააფრთხილა, რომ ისლანდიასთან ყურადღებით იყვნენ.

ევრას აზრით, ისლანდია ძლიერი გუნდია, რომლის დასამარცხებლადაც ფრანგებმა საუკეთესო ფეხბურთი უნდა აჩვენონ.

– ისლანდიამ ინგლისის დამარცხება მოახერხა, რასაც არავინ ელოდა. ჟურნალისტები უკვე ინგლისთან დაპირისპირებაზე მეკითხებოდნენ, მე კი მათ ვეუბნებოდი, რომ ინგლისი ჯერ გასული არ იყო მეოთხედფინალში. ისლანდიამ ამ ტურნირზე ბევრი გააკვირვა, ამიტომ მასთან ყურადღება გვმართებს, – თქვა ევრამ.

საფრანგეთი ისლანდიის ნაკრებს კვირას, 3 ივლისს, დაუპირისპირდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 2. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 6. აქლემისა და ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 8. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. ფიფას პრეზიდენტი; 13. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 14. პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 15. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთისგან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისგან; 19. აღმოსავლური ტკბილეული.

თარაზულად: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. აეროპორტი ლონდონში; 7. საქართველოში გავრცელებული მოწითალო ფერის, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 9. სომეხთა მღვდელი; 10. საარყე ტიკჭორა; 12. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება; 16. ქართული ხალხური ცეკვა; 17. არაგვის ერისთავთა რეზიდენცია ძველად; 18. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 20. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 21. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 22. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა